გრანშანის მე-13 შრიფტის დიზაინის კონკურსი 2023-2024. გაიდლაინები:

ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო!

მოხარულები ვართ, რომ დაინტერესებული ხართ წარდგეთ რიგით მე-13 ფონტის დიზაინის კონკურსზე GRANSHAN-ი 2023/2024.

ქვემოთ ჩვენ დეტალურად შევკრიბეთ ყველა ის ინფორმაცია, რომელიც გჭირდებათ წარდგენისთვის, განრიგიდან ჟიურის პროცედურებამდე, საფასურიდან სპეციალურ კრიტერიუმებამდე, რომელიც გასათვალისწინებელია წარდგენის ფორმატებში. ყველა ამ ინფორმაციას ნახავთ ასევე საიტზე PDF-ში ჩამოტვირთვის განყოფილებაში. პოსტერის მომზადებაში დასახმარებლად, ჩვენ დავამატეთ დეტალური სახელმძღვანელო.

გთხოვთ, მიჰყვეთ დეტალურ ინსტრუქციებს წარსადგენი კომპონენტებისთვის - **ეს დეტალურად არის აღწერილი აქ!**
ჩვენ მოუთმენლად ველით თქვენს წინადადებებს!
ვერონიკა ბურიანი, ბორის კოჰანი და ტოში ომაგარი

ზოგადი ინფორმაცია გრანშანის კონკურსის შესახებ

GRANSHAN აღნიშნავს ტიპოგრაფიული შრიფტების მრავალფეროვნებას და სიმდიდრეს, რომლებიც ემყარება გლობალურ კომუნიკაციას, აძლიერებს საზოგადოებებს და აძლევს იდენტობას. GRANSHAN-ის კონკურსი მოიცავს გლობალური მასშტაბის თემებისთვის განკუთვნილი შრიფტების მზარდ დიაპაზონს – ყველაზე ფართოდ გამოყენებული შრიფტებიდან დაწყებული, მცირე თემების ან საფრთხის ქვეშ მყოფი შრიფტებით დამთავრებული.
მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან ფონტის დიზაინერები, მსოფლიოს ყველა კუთხიდან.
საერთაშორისო შრიფტის კონკურსები - რომელიც ცოტაა - ჩვეულებრივ ყურადღებას ამახვილებს ძირითადად ლათინურ დამწერლობაზე. მეორეს მხრივ, GRANSHAN-ის კონკურსი ცალსახად ცდილობს ამოიცნოს ყველაზე გამორჩეული შრიფტები ცალკეული დამწერლობებისთვის ლათინური ოჯახების მიღმა.
ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მრავალენოვანი დამუშავებული ფონტების რიცხვი - და ჩნდება უფრო და უფრო მეტი შრიფტი ლათინურის ჩარჩოებს მიღმა, რომლებიც შექმნილია ან ახალი ლათინური ფონტების ანალოგით, ან როგორც არსებული ლათინური შრიფტების გაფართოება. ამიტომ, GRANSHAN-ი ეხლა გთავაზობთ ათი სხვადასხვა დამწერლობის ჯგუფის წარდგენას ექვს კატეგორიაში.

მონაწილე ჯგუფები

წლევანდელ კონკურსზე მონაწილე 10 დამწერლობის ჯგუფი:

- არაბული (არაბული, სპარსული, ქურთული, ურდუ)
- ედიკ ხაბუზიანის სახელობის ჯილდო სომხური ტიპის დიზაინისთვის
- ჩინური (ტრადიციული ან გამარტივებული)
- კირილიცა (ბულგარული, მონღოლური, რუსული, სერბული, უკრაინული და ა.შ.)
- ქართული
- ბერძენული
- ებრაული
- სამხრეთ აზიური დამწერლობა (დევანაგარი, ბენგალური, გურმუხი, ტელუგუ, ტამილური, გუჯარათი, მალაიალამური, სინჰალური და ა.შ.)
- კორეული
- სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის დამწერლობა (ტაილანდური, ბირმული, ლაოსი, ქმერული)

კატეგორიები :

კატეგორია A1: ტექსტის შრიფტები

ეს კატეგორია განკუთვნილია მხოლოდ ტექსტური ფონტებისთვის ზემოთ ჩამოთვლილი დამწერლობების ერთ ან რამდენიმე ჯგუფში. გაითვალისწინეთ, რომ ამ კატეგორიაში არ მიიღება დისპლეი ფონტები.

კატეგორია A2: დისპლეის შრიფტები

ეს კატეგორია განკუთვნილია მხოლოდ დისპლეის ფონტებისთვის ერთ ან მეტ ჯგუფში. გაითვალისწინეთ, რომ ტექსტის ფონტები არ მიიღება ამ კატეგორიაში.

კატეგორია B1: ტექსტის შრიფტები ლათინური დანამატით

ეს კატეგორია განკუთვნილია ტექსტის ფონტისთვის ლათინური დანამატით, რომელიც გამოიყენება კომბინაციაში. შეგიძლიათ წარმოადგინოთ, როგორც ორი ერთდროულად შემუშავებული ფონტი, ისე ერთი ახალი დანამატი არსებული ფონტისთვის. ახალი შემუშავებული ლათინური დანამატის შემთხვევაში, ტექსტის ფონტის ხარისხთან ერთად შეფასდება ლათინური კომპონენტის ხარისხიც. ნებისმიერ შემთხვევაში, შეფასდება ორ სკრიპტს შორის ურთიერთქმედება. შესაძლებელია ზემოთ ჩამოთვლილი ცხრა დამწერლობის ჯგუფის ფონტების წარდგენა. გაითვალისწინეთ, რომ ამ კატეგორიაში არ მიიღება დისპლეისფონტები.

კატეგორია B2: დისპლეის შრიფტები ლათინური დანამატით

ეს კატეგორია განკუთვნილია დისპლეისფონტისთვის ლათინური დანამატით, რომელიც გამოიყენება კომბინაციაში. შეგიძლიათ წარმოადგინოთ, როგორც ორი ერთდროულად შემუშავებული ფონტი, ისე ერთი ახალი დანამატი არსებული ფონტისთვის. ახლად შემუშავებული ლათინური დანამატის შემთხვევაში, ლათინურის ხარისხი ასევე შეფასდება დისპლეის ფონტების ხარისხთან ერთად. ნებისმიერ შემთხვევაში, შეფასდება ორ სკრიპტს შორის ურთიერთქმედება. შესაძლებელია ზემოთ ჩამოთვლილი ცხრა დამწერლობის ჯგუფის ფონტების წარდგენა. გაითვალისწინეთ, რომ ამ კატეგორიაში არ მიიღება ტექსტის ფონტები.

C1 კატეგორია: ტექსტის მრავალდამწერლობიანი შრიფტები

ეს კატეგორია განკუთვნილია ტექსტის ფონტისთვის, ლათინურის გარდა, სულ მცირე ორი დამწერლობის შემავსებლით, რომლებიც განკუთვნილია ერთად მუშაობისთვის. თანმხლები ლათინური ვერსია მიიღება, მაგრამ არ არის საჭირო. დისპლეის ფონტები არ მიიღება ამ კატეგორიაში.

C2 კატეგორია: დისპლეის მრავალდამწერლობიანი შრიფტები

ეს კატეგორია განკუთვნილია დისპლეის ფონტისთვის, ლათინურის გარდა, სულ მცირე ორი დამწერლობის შემავსებლით, რომლებიც განკუთვნილია ერთად მუშაობისთვის. თანმხლები ლათინური ვერსია მიიღება, მაგრამ არ არის საჭირო. ტექსტის ფონტები არ მიიღება ამ კატეგორიაში.

ჯილდო

დამწერლობის ათი ჯგუფიდან თითოეულში (არაბული, ჩინური და ა.შ.), თითოეული კატეგორიისთვის A1, A2, B1, B2, C1 და C2 დაჯილდოვდება პირველი, მეორე და მესამე ადგილის მფლობელი. ასევე გვექნება განსაკუთრებული აღნიშვნები, სადაც ჟიური გამოარჩევს პროექტებს, რომელთა ცალკეულმა ასპექტებმა, ან განვითარების საფეხურმა დაიმსახურა მოწონება, თუმცა საერთო შთაბეჭდილება ხარისხობრივად დაბალია ამ, ან წინა წლების ჯილდოს მფლობელთა პროექტებთან შედარებით.

GRANSHAN GRAND PRIZE, 3000 ევროს ოდენობით, ჟიურის მიერ გამორჩეულ საუკეთესოთაგან საუკეთესოს გადაეცემა შეფასების პროცესის ბოლოს.

ჟიური

GRANSHAN-ის მე-13 კონკურსის ჟიური შედგება მრავალი საერთაშორისო აღიარებული სპეციალისტისგან: თითოეული დამწერლობის ჯგუფისთვის მინიმუმ სამი სპეციალისტი მიმოიხილავს მიღებულ პროექტებს. თითოეულ ჯგუფს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც შეუძლია როგორც ხმის მიცემა, ისე თაიბრეიკერობა.

შეფასების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, თავმჯდომარე ინიშნება რამდენიმე წლით. შრიფტის სპეციალისტებს ერთობლივად ირჩევენ სკრიპტის თავმჯდომარეები გრანშანის თავმჯდომარეებთან ერთად. GRANSHAN-ის კონკურსის თავმჯდომარეები, ვერონიკა ბურიანი და ტოში ომაგარი პასუხისმგებელნი არიან სკრიპტის თავმჯდომარეების დანიშვნაზე და კონკურსის მოდერირებაზე, თუმცა თავად არ იძლევიან ხმებს.

შრიფტის კონკურსის თავმჯდომარეები

არაბული: ჰაითამ ნავარი

სომხური: ანჟელა პოღოსოვა , Edik Ghabuzyan Award Lifetime

ჩინური: ლიუ ძაო

კირილიცა: ალექს ვანაშინი

ქართული: ნინო ჯიშკარიანი

(ახალი) ბერძნული: ირენე ვლაჩო

(ახალი) ებრაული: შანი ავნი

სამხრეთ აზიური დამწერლობა: Kalapiordawekar-B & რათნა რამანათანი

(ახალი) კორეული: ეუნუ ნოჰი

(ახალი) სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის დამწერლობა: ანუთინ ვონგსუნკაკონი

შრიფტის სპეციალისტების სია

დამწერლობის თითოეულ ჯგუფში მინიმუმ სამი ცნობილი სპეციალისტი დაუჭერს მხარს GRANSHAN-ის კონკურსს თავისი გამორჩეული გამოცდილებით

ნებაყოფლობით საფუძველზე. ჩვენ გამოვაქვეყნებთ 60-ზე მეტი შრიფტის ექსპერტის სახელს GRANSHAN-ის ვებსაიტზე და სოციალური მედიის არხებზე მომდევნო რამდენიმე კვირის განმავლობაში.

ქვემოთ იხილავთ მიმდინარე ჯგუფების სპეციალისტებს, რომელიც განახლდება სრული სიის დადასტურების შემდეგ.

არაბული

Huda Abifares, Lara Assouad, Lara Captan, Kamal Mansour, Haytham Nawar (Script Chair), Titus Nemeth

სომხური

EDIK GHABUZYAN LIFETIME ACHIEVEMENT AWARD FOR ARMENIAN TYPE DESIGN

Davit Ghazaryan, Hrachuhi Grigorian, Angela Poghosova (თავმჯდომარე), Liana Shushanyan

ჩინური

Cheng Xunchang, Curt Huang, Keith Tam, Wang Wen, Ma Yiyuan, Liu Zhao (თავმჯდომარე)

კირილიცა

Vedran Erakovic, Vera Evstafieva, Tetiana Ivanenko, Krista Radoeva, Aleksandra Samulenkova, Alexei Vanyashin (თავმჯდომარე)

ქართული

Merab Getsadze, Lasha Giorgadze, Giga Khatiashvili, Sopho Kvantaliani, Nino Jishkariani (თავმჯდომარე)

ბერძნული

Kostas Bartsokas, Eleni Beveratou, Gerry Leonidas, Natalia Qadreh, Emilios Theofanous, George Triantafyllakos, Panos Vassiliou, Irene Vlachou (თავმჯდომარე)

ებრაული

Shani Avni (თავმჯდომარე), Nitzan Chelouche, Daniel Grumer, Liron Lavi Turkenich, Meir Sadan

კორეული

Minjoo Ham, Chang Sik Kim, Bon Min, Eunyou Noh (თავმჯდომარე), Yanghee Ryu

სამხრეთ აზიური დამწერლობა

Kalapi Gajjar-Bordawekar (თანათავმჯდომარე), John Hudson, Shiva Nallaperumal, Rathna Ramanathan (თანათავმჯდომარე), Fiona Ross, more TBA

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიური დამწერლობა

Suppakit Chalermlarp, Sirin Gunkloi, Tristan Hinkel, JindaNuangjumnong, Sovichet Tep, PanuwatUsakulwattana, Sasikarn Vongin, Anuthin Wongsunkakon (თავმჯდომარე)

გრანშანის ახალწვეულები: თემის ზრდის პროგრამა

წელს, პირველად, რამდენიმე დამწერლობის ჯგუფში ახალგაზრდა და ძალიან ნიჭიერ პროფესიონალებს ვიწვევთ, რათა შეუერთდნენ ჟიურის, როგორც დამკვირვებლები ხმის მიცემის გარეშე. ამით გვსურს გავაძლიეროთ საერთაშორისო არალათინური საზოგადოება. ჩვენ მიზნად ვისახავთ ჩავრთოთ და უკეთ აღვბეჭდოთ თანამედროვე ადგილობრივი დიზაინის სცენა და მოვამზადოთ ახალი კოლეგები, რომლებიც გახდებიან ჟიურის წევრები და ამით თანდათან გავაფართოვებთ შრიფტის სპეციალისტების ჯგუფს. გრანშანის ახალწვეულები შეაფასებენ ნამუშევრებს და მიიღებენ მონაწილეობას განხილვებში, მაგრამ მათი ხმა არ ჩაითვლება.

ბერძნული: Myria Konnaris, Natassa Pappas, George Strouzas, Tasos Varipatis, Konstantina Yiannakopoulou

სამხრეთ აზიის დამწერლობა: Ragini Siruguri

კირილიცა: Anya Danilova

შეფასების პროცედურა.

ყველა განაცხადი ანონიმურია და შეფასდება სამ ეტაპად:

პირველი ეტაპი: ლონგლისტი

იკრიბება ყველა ნამუშევარი თითოეული დამწერლობის ჯგუფის ხუთი კატეგორიიდან A1, A2, B1, B2, C1 და C2. შრიფტის სპეციალისტები და შრიფტის თავმჯდომარე შეაფასებენ თითოეულ განაცხადს ონლაინ ქულების სისტემით.

ქულების სისტემის გარდა, ჟიურის წევრებს შეუძლიათ დაამატონ ცალკე კომენტარები. კენჭისყრის შედეგების ნახვა შესაძლებელია სხვა სპეციალისტებისთვის. პირველ ეტაპზე, შრიფტის თავმჯდომარეებისა და სპეციალისტების შეფასება თანაბრად იქნება შეწონილი. შედეგი: მინიმალური ქულის მქონე ნამუშევრები გადადიან მეორე საფეხურზე, შორტლისტში.

მეორე ეტაპი: შორტლისტი

ამ საფეხურზე, შრიფტის სპეციალისტები თითოეული დამწერლობის ჯგუფის შრიფტის თავმჯდომარეებთან ერთად განიხილავენ ონლაინ ვიდეო კონფერენციაზე, თუ რომელი ნამუშევარი იმსახურებს აღიარებას. განხილვის შემდეგ, თითოეული შრიფტის სპეციალისტი და შრიფტის თავმჯდომარე წარმოადგენს საკუთარ რეკომენდაციებს პირველი, მე-2 და მე-3 ადგილის პრიზიორებზე და სპეციალურ აღნიშვნებს ონლაინ ქულების სისტემით. ყველა ნამუშევარი, რომელიც აღწევს მეორე საფეხურამდე, გამოქვეყნდება GRANSHAN-ის ვებსაიტზე. შედეგი: პოტენციური პრიზიორები გადავლენ მესამე ეტაპზე.

მესამე ეტაპი: პრიზიორები

გამარჯვებულები და სპეციალური აღნიშვნები გამოვლინდება ყველა შრიფტის თავმჯდომარის ონლაინ ვიდეო კონფერენციაზე ორივე თავმჯდომარესთან ერთად. ფინალური ჟიური კვლავ შეაფასებს მეორე დონის რეკომენდებულ პრიზებს - 1-დან მე-3 პრიზამდე რეიტინგის ხელახალი განსაზღვრის შესაძლებლობით და სპეციალური აღნიშვნებით დამწერლობის თითოეულ ჯგუფში.

დასასრულს, შრიფტის თავმჯდომარეები ძირითად თავმჯდომარეებთან ერთად კენჭისყრით გადაწყვეტენ **გრანშანის გრან პრიზის** გამარჯვებულს.

პრეზენტაცია და ცერემონია

გამარჯვებულები გამოვლინდებიან www.granshan.com ვებგვერდზე, დაწინაურდებიან სოციალური მედიის ყველა არხზე და მიიღებენ GRANSHAN-ის დიპლომს. გამარჯვებული ნამუშევრების პლაკატები გამოიფინება სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებზე 2024 წლის განმავლობაში და დაგეგმილია GRANSHAN Type Design Competition 2023/24-ის გამარჯვებულების დაჯილდოების ცერემონია, რომელიც ჯერ არ არის დადასტურებული.

GRANSHAN კონკურსის ორგანიზატორები იტოვებენ უფლებას გამოაქვეყნონ წარმოდგენილი ფონტები გამოფენებზე, პრესაში, სოციალურ მედიაში და ნებისმიერ სხვა შესაბამის პუბლიკაციებზე. ამიტომ, გთხოვთ, მოგვაწოდოთ მოკლე 20-სიტყვიანი ბიოგრაფია და პორტრეტული ტიპის დიზაინერ(ებ)ის ფოტო A6-ში

დასაბეჭდად.

არცერთი ნამუშევრის წყაროს ფაილი არ გახდება საჯაროდ ხელმისაწვდომი!

განრიგი

განაცხადები

შეიძლება გაკეთდეს ონლაინ https://granshan.submit.tofrom 2023 წლის 27 ნოემბრიდან 2024 წლის 15 თებერვლამდე

ჟიურის მუშაობის დაწყება

2024 წლის მარტი/აპრილი

გამარჯვებულთა გამოვლენა

2024 წლის ივნისი

უფლებამოსილება

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ფონტის დიზაინერებს მთელი მსოფლიოდან. განაცხადისთვის დაშვებულია კონკურსის მოთხოვნების შესაბამისად შექმნილი ყველა ფონტი, რომელიც შექმნილია, ან გაციფრულებულია 2020 წელს ან მის შემდეგ.

შრიფტები შეიძლება წარადგინოს დიზაინში, წარმოებაში ან მარკეტინგში ჩართული ნებისმიერმა პირმა (გთხოვთ, განსაზღვროთ თქვენი პოზიცია). ყველა წარმოდგენილი ფონტი უნდა შეესაბამებოდეს და იყენებდეს Unicode კოდირების სისტემას. განაცხადში შეიძლება იყოს ცალკეული შრიფტები ან შრიფტების ოჯახები, განახლებული ან ახლად შემუშავებული ვერსიები. მისასალმებელია ექსკლუზიური შრიფტები, ასევე სტუდენტური პროექტები (სპეციალური კატეგორია სტუდენტებისთვის არ არსებობს).

წარდგენის ფორმაში შეგიძლიათ ახსნათ შრიფტის კონცეფცია და მიუთითოთ დეტალები ნებისმიერი განსაკუთრებული მახასიათებლის შესახებ, რომელთა გათვალისწინებაც გსურთ ნამუშევრის შეფასებისას. შეგიძლიათ დაურთოთ ნებისმიერი რელევანტური ინფორმაცია ისტორიისა თუ სხვა მოდელების შესახებ, ასევე, რამდენადაა განკუთვნილი მოცემული შრიფტი სხვა შრიფტებთან ერთად ფუნქციონირებისთვის. ეს აღწერა არ გამოქვეყნდება - მისი ერთადერთი მიზანია მიაწოდოს ჟიურის რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია შეფასებისთვის.

გთხოვთ შეინარჩუნოთ ანონიმურობა და არ მიუთითოთ წარდგენილი შრიფტის სახელი, დიზაინერი ან კომპანია.

რა თქმა უნდა, შეგიძლიათ ამ კონკურსზე მრავალი ნამუშევრის წარდგენა. გთხოვთ, გამოიყენოთ ცალკე ფორმა ონლაინ განაცხადში თითოეული ნამუშევრისთვის და გამოაგზავნოთ ცალკე PDF ფაილები. ასევე გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ თითოეული განაცხადი ცალკე უნდა იყოს გადახდილი.

თავმჯდომარის, საორგანიზაციო კომიტეტის წევრებისა და შრიფტების თავმჯდომარეების შრიფტები არ არის დაშვებული. შრიფტების სპეციალისტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ საკუთარი პროექტები, მაგრამ ვერ შეძლებენ საკუთარი განაცხადის შეფასებას ან მასზე ხმის მიცემას. შრიფტის თავმჯდომარეს და შრიფტის სპეციალისტებს შეუძლიათ უარი თქვან ნებისმიერ განაცხადზე მიკერძოებულობის გამო.

განაცხადები

განაცხადები მიიღება ექსკლუზიურად ონლაინ https://granshan.submit.to-ზე. მონაწილეებს შეუძლიათ უფასოდ დარეგისტრირდნენ და შექმნან დრაფტების შეუზღუდავი რაოდენობა. თანხა არ ჩამოიჭრება, მანამ სანამ არ დააჭერთ გაგზავნის ღილაკს. შემდგომი შეფასებისთვის განიხილება მხოლოდ ის განაცხადი, რომელიც შეესაბამება მონაწილეობის პირობებს და რომლებიც წარდგენილი იყო 2023 წლის 27 ნოემბრიდან 2024 წლის 15 თებერვლამდე. დრაფტი არ ითვლება დასრულებულად.

განაცხადის ფორმის შევსებითა და გაგზავნით თქვენ ადასტურებთ, რომ უფლება გაქვთ წარადგინოთ შრიფტი გრანშანის კონკურსზე 2023/24 და რომ ათავისფულებთ GRANSHAN Foundation e.V. მესამე მხარის ყველა პრეტენზიისგან. ორგანიზატორები არ არიან პასუხისმგებელი განაცხადის ფორმაში მოცემულ ინფორმაციაზე.

გაგზავნამდე გთხოვთ, ხელი მოაწეროთ GRANSHAN-ის თვითმმართველობის ვალდებულების განცხადებას, რომელიც შეესაბამება გრანშანის პოზიციას აგრესიის, ტერორიზმისა და ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისა და შევიწროების წინააღმდეგ.

გადასახადი

თქვენი ონლაინ რეგისტრაცია, ისევე როგორც დრაფტების შექმნა უფასოა. განაცხადზე საფასურს იხდით მხოლოდ მისი დასრულებისას. განაცხადის გაუქმება ან თანხის დაბრუნება შეუძლებელია.

განახლებული საფასურის პოლიტიკა ასახავს განსხვავებებს გლობალურ სტანდარტებსა და შესაძლებლობებში, განსხვავებას სტუდენტებს, შტატგარეშე მუშაკებსა და მცირე, საშუალო და დიდი ტიპის დიზაინის კომპანიებს შორის.

განისაზღვრება სამი ძირითადი ჯგუფი:

1.დაბალშემოსავლიანი ქვეყნები (თვითშეფასების საფუძველზე), სტუდენტები და ფრილანსერები

2. მცირე და საშუალო ზომის კომპანიები - 20-ზე ნაკლები თანამშრომელი, ან კოლაბორაცია

3. უფრო დიდი კომპანიები - 20-ზე მეტი თანამშრომელი, ან კოლაბორაცია

ცხრილში ასახული გადასახადები მინიმალურია. ნებისმიერი დამატებითი გადასახადი ნებაყოფლობით საფუძველზე მისასალმებელი იქნება.

საფასურში შედის დღგ. გადახდა შეიძლება განხორციელდეს ონლაინ, Stripe-ის საშუალებით (საკრედიტო ბარათები, Paypal და სხვა).

კატეგორია	A1	A2	B1	B2	C1	C2
დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნები, სტუდენტები, ფრილანსერები	25,00 € / $29.00	25,00 € / $29.00	50,00 € / $59.00	50,00 € / $ 59.00	75,00 € / $87.00	75,00 € / $87.00
მცირე და საშუალო კომპანიები (<20 თანამშრომელი/კოლაბორაცია)	50,00 € / $59.00	50,00 € / $59.00	75,00 € / $87.00	75,00 € / $ 87.00	100,00 € / $117.00	100,00 € / $117.00
დიდი კომპანიები (≥20 თანამშრომელი/კოლაბორაცია)	100,00 € / $117.00	100,00 € / $117.00	125,00 € / $146.00	125,00 € / $146.00	150,00 € / $175.00	150,00 € / $175.00

განაცხადის ფორმატი

გთხოვთ, წარმოადგინოთ თქვენი პროექტი PDF 420 x 297 მმ / A3 ლანდშაფტის ფორმატში. ასევე დაამატეთ ორი პლაკატი, როგორც აღწერილია ქვემოთ, PDF 850 x 1189 მმ პორტრეტის ფორმატში.

A1 და A2 კატეგორია

მაქს. ოთხი გვერდი A3 ლანდშაფტი პლუს ორი პლაკატი პორტრეტის ფორმატში;

B1 და B2 კატეგორია

მაქს. რვა გვერდი A3 ლანდშაფტი პლუს ორი პლაკატი პორტრეტის ფორმატში;

C1 და C2 კატეგორია

მაქს. გვერდები დამოკიდებულია სხვადასხვა არალათინური დამწერლობის რაოდენობაზე, (მაქს. ოთხი გვერდი თითო დამწერლობაზე) პლუს ორი პლაკატი პორტრეტის ფორმატში.

თქვენი PDF ფაილი შეიძლება დაიბეჭდოს და დარწმუნდით, რომ არ არის დაცული პაროლით. გთხოვთ ყოველთვის დაამატეთ "განაცხადის სათაური" (არა სკრიპტის ან ფონტის სახელი!) როგორც ონლაინ განაცხადის ფორმაშია ყველა გვერდის ზედა მარცხენა კუთხეში და დანომრეთ გვერდები (1 6-დან, 2 6-დან და ა.შ.).

საუკეთესო შედეგისთვის, წარმოდგენილი მასალა უნდა შეიცავდეს შემდეგს:

კატეგორია A1: ტექსტის შრიფტები

<u>ერთი გვერდი: სიმბოლოების მიმოხილვა მაქსიმუმ. ოთხი სტილი</u>

პირველი გვერდი აჩვენებს ფონტის სრულ გლიფურ კომპლექტს შავი გლიფებით თეთრ ფონზე - რაც შეიძლება დიდად. გთხოვთ აჩვენოთ, როგორც მინიმუმი: რეგულარული (upright) და, თუ შესაძლებელია, რეგულარული italic, bold upright და bold italic. ნებისმიერი დამატებითი სტილი უნდა იყოს ნაჩვენები შემდეგ გვერდზე.

<u>ერთი გვერდი: სტილის მიმოხილვა და როგორ ქმნის ის ფონტების ოჯახს</u>

ამ გვერდზე, გთხოვთ, წარმოადგინოთ მთელი ფონტის ოჯახის სიმბოლოების ნაკრები. თუმცა, თუ სრული სიმბოლოების ნაკრები არ ჯდება ერთ გვერდზე, საკმარისია მხოლოდ ნაწილის ჩვენება; სასურველია რაც შეიძლება დიდი (მინიმუმ 16 pt) შავი გლიფებით თეთრ ფონზე.

<u>ერთი გვერდი: ტიპოგრაფიული გამოყენება სხვადასხვა ზომაზე</u>

ტექსტის ერთი გვერდი სხვადასხვა ზომის, ფონტისთვის დამახასიათებელი ერთი ან ორი სტილის გამოყენებით, ჩვენ გირჩევთ 8-, 11-, 16- და 24-ერთეულებს; თუ ფონტი განკუთვნილია მცირე ზომის ტექსტისთვის, მაშინ შეამცირეთ ტექსტის ზომები შესაბამისად.

ერთი გვერდი: ტიპოგრაფიული გამოყენება სხვადასხვა სტილში

გთხოვთ, აქ აჩვენოთ სხვადასხვა სტილის ურთიერთქმედება სხვადასხვა ზომებში, უფრო გრძელი ტექსტის გამოყენებით აბზაცებში, სათაურებში ან ნებისმიერი სხვა ხერხით, რომელიც შეესაბამება მოცემულ ფონტს, შავი გლიფებით თეთრ ფონზე.

ერთი პლაკატი: მიმოხილვის პოსტერი გამოფენისთვის

გთხოვთ, გამოიყენოთ შაბლონი, რომელიც შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ აქ. თუ თქვენი პროექტი მოიგებს პრიზს ან მიიღებს სპეციალურ აღნიშვნას, ჩვენ ამ პოსტერს სხვადასხვა გამოფენებზე გამოვფენთ.

ერთი პლაკატი: შრიფტი შემოქმედებითი გამოყენებისთვის

ეს არის თავისუფალი სტილის ფერადი გვერდი – გთხოვთ, შექმნათ პოსტერი, რომელიც წარმოაჩენს ფონტის იდეას თავისი ტიპიური ფორმებით, ასევე მისი სპეციფიკური გამოყენებით. გარდა იმისა, რომ ის დაეხმარება ჟიურის შეფასების პროცესში, ჩვენ გამოვიყენებთ ამ პოსტერს, თუ თქვენი პროექტი მოიგებს პრიზს ან მიიღებს სპეციალურ ხსენებას. გთხოვთ, არ მიუთითოთ ფონტის სახელი.

კატეგორია A2: დისპლეის ფონტები

ერთი გვერდი: სიმბოლოების სრული ნაკრები

პირველი გვერდი აჩვენებს სრულ გლიფურ კომპლექტს შავი გლიფებით თეთრ ფონზე - რაც შეიძლება დიდი და იმ სტილში, რომელიც ყველაზე მეტად წარმომადგენლობითია ფონტის ოჯახისთვის.

ნებისმიერი დამატებითი სტილი უნდა იყოს ნაჩვენები შემდეგ გვერდზე.

ერთი გვერდი: სტილის მიმოხილვა და როგორ ქმნის ის ფონტების ოჯახს

ამ გვერდზე, გთხოვთ, წარმოადგინოთ მთელი ოჯახის სიმბოლოების ნაკრები. თუმცა, თუ ოჯახის სიმბოლოების სრული ნაკრები არ ეტევა გვერდში, საკმარისია სიმბოლოების ნაკრების მხოლოდ ნაწილის ჩვენება, სასურველია რაც შეიძლება დიდად (მინიმუმ 16 pt) შავი გლიფებით თეთრ ფონზე. თუ ფონტს აქვს მხოლოდ ერთი სტილი, არ გჭირდებათ ამ გვერდის გაგზავნა.

ერთი გვერდი: ტიპოგრაფიული გამოყენება სხვადასხვა ზომაში

ერთი გვერდი - ტექსტის და სათაურები სხვადასხვა ზომის, ერთ ან ორ სტილში. გთხოვთ, წარმოადგინოთ დისპლეის ფონტები მხოლოდ იმ ზომებში, რისთვისაც შემუშავებულია - ისევ შავი გლიფებით თეთრ ფონზე.

ერთი გვერდი: ტიპოგრაფიული გამოყენება სხვადასხვა სტილში

გთხოვთ, აქ აჩვენოთ სხვადასხვა სტილის ურთიერთქმედება სხვადასხვა ზომებში, უფრო გრძელი ტექსტის გამოყენებით აბზაცებში, სათაურებში ან ნებისმიერი სხვა ხერხით, რომელსაც თვლით შესაფერისს ფონტისთვის, შავი გლიფებით თეთრ ფონზე.

ერთი პლაკატი: მიმოხილვის პოსტერი გამოფენისთვის

გთხოვთ, გამოიყენოთ შაბლონი, რომელიც შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ აქ. თუ თქვენი პროექტი მოიგებს პრიზს ან მიიღებს სპეციალურ ხსენებას, ჩვენ გამოვაჩენთ ამ პოსტერს გამოფენებზე.

ერთი პლაკატი: ფონტი შემოქმედებით გამოყენებაში

ეს არის თავისუფალი სტილის ფერადი გვერდი – გთხოვთ, შექმნათ პოსტერი, რომელიც წარმოაჩენს ფონტის იდეას თავისი ტიპიური ფორმებით, ასევე მისი სპეციფიკური გამოყენებით. გარდა იმისა, რომ ის დაეხმარება ჟიურის შეფასების პროცესში, ჩვენ გამოვიყენებთ ამ პოსტერს, თუ თქვენი პროექტი მოიგებს პრიზს ან მიიღებს სპეციალურ ხსენებას.

გთხოვთ, არ მიუთითოთ ფონტის სახელი.

კატეგორია B1: ტექსტის ტიპები ლათინური კომპლემენტით

გვერდები ერთიდან ოთხამდე, როგორც A1 კატეგორიაში - მთავარი დამწერლობისთვის და ლათინური ვერსიისთვის (მაქს. რვა გვერდი). გთხოვთ, გამოიყენოთ გვერდი ტიპოგრაფიული გამოყენებისთვის სხვადასხვა სტილში, რომ აჩვენოთ ორივე სკრიპტის თავსებადობა და ურთიერთკავშირი. ასევე ორი დამატებითი პლაკატი, როგორც ზემოთ იყო აღწერილი (ერთი პლაკატი მიმოხილვით, ერთი ფონტის კრეატიულ გამოყენებაში), თითოეული წარმოადგენს ფონტის პროექტს მთლიანობაში. ყველა განაცხადი უნდა ასახავდეს არა მხოლოდ სიმბოლოების სრულ კომპლექტს (იხ. ზემოთ კატეგორია A1), არამედ მათ თავსებადობას და ორი სკრიპტის ურთიერთკავშირს. გთხოვთ, დარწმუნდეთ, რომ პრეზენტაცია საკმარისად ყოვლისმომცველია ჟიურის სათანადო შეფასებისთვის.

კატეგორია B2: დისპლეის ფონტები ლათინური დანამატით

გვერდები ერთიდან ოთხამდე, როგორც A2 კატეგორიაში – მთავარი დამწერლობისთვის და ლათინური ვერსიისთვის (=მაქს. რვა გვერდი). გთხოვთ, გამოიყენოთ ეს გვერდი ტიპოგრაფიული გამოყენებისთვის სხვადასხვა სტილში, რათა აჩვენოთ ორივე სკრიპტის თავსებადობა და ურთიერთკავშირი. ასევე ორი დამატებითი პლაკატი, როგორც ზემოთ იყო აღწერილი (ერთი პლაკატი

მიმოხილვით, ერთი ფონტის კრეატიულ გამოყენებაში), თითოეული წარმოადგენს ფონტის პროექტს მთლიანობაში.

ყველა განაცხადი უნდა ასახავდეს არა მხოლოდ სიმბოლოების სრულ კომპლექტს (იხ. ზემოთ კატეგორია A2), არამედ მათ თავსებადობას და ორი დამწერლობის ურთიერთკავშირს. გთხოვთ, დარწმუნდეთ, რომ პრეზენტაცია საკმარისად ყოვლისმომცველია ჟიურის სათანადო შეფასებისთვის.

C1 კატეგორია: ტექსტის მრავალდამწერლობიანი შრიფტები

გვერდები ერთიდან ოთხამდე, როგორც A1 კატეგორიაში - თითოეული ფონტისთვის და, საჭიროების შემთხვევაში, ლათინური ვერსიისთვისაც. გთხოვთ, გამოიყენოთ გვერდი "ტიპოგრაფიული გამოყენებისთვის სხვადასხვა სტილში" რომ აჩვენოთ ორივე სკრიპტის თავსებადობა და ურთიერთკავშირი. ორი დამატებითი პლაკატი, როგორც ზემოთაა აღწერილი (ერთი პლაკატი მიმოხილვით, ერთი ფონტის კრეატიული გამოყენებით), თითოეული წარმოადგენს ფონტის პროექტს მთლიანობაში.

ყველა განაცხადი უნდა ასახავდეს არა მხოლოდ სიმბოლოების სრულ კომპლექტს (იხ. ზემოთ კატეგორია A), არამედ სხვადასხვა ფონტების ჯგუფებს შორის თავსებადობას და ურთიერთდამოკიდებულებას. გთხოვთ, დარწმუნდეთ, რომ პრეზენტაცია საკმარისად ყოვლისმომცველია ჟიურის სათანადო შეფასებისთვის.

C2 კატეგორია: დისპლეის მრავალდამწერლობიანი ფონტები

გვერდები ერთიდან ოთხამდე, როგორც A2 კატეგორიაში - თითოეული დამწერლობისთვის და, საჭიროების შემთხვევაში, სურვილისამებრ ლათინური ვერსიისთვის. გთხოვთ, გამოიყენოთ გვერდი ტიპოგრაფიული გამოყენებისთვის სხვადასხვა სტილში, რათა წარმოადგინოთ ორივე დამწერლობის თავსებადობა და ურთიერთკავშირი. ასევე, ორი დამატებითი პლაკატი, როგორც ზემოთ იყო აღწერილი (ერთი პლაკატი მიმოხილვით, ერთი ფონტის კრეატიული გამოყენებით), თითოეული წარმოადგენს ფონტის პროექტს მთლიანობაში.

ყველა განაცხადი უნდა ასახავდეს არა მხოლოდ სიმბოლოების სრულ კომპლექტს (იხ. ზემოთ კატეგორია A), არამედ სხვადასხვა დამწერლობის ჯგუფს შორის თავსებადობას და ურთიერთდამოკიდებულებას.გთხოვთ, დარწმუნდეთ, რომ პრეზენტაცია საკმარისად ყოვლისმომცველია ჟიურის სათანადო შეფასებისთვის.

განსაკუთრებული მადლობა

თავმჯდომარეები და პრეზიდენტი სიამოვნებით გიხდით მადლობას გრანშანის კონკურსის მომზადებაში ინტენსიური მუშაობისთვის: მაგალითად, ამ ნაშრომისთვის, რომელიც შეიცავს ინფორმაციასა და რეგულაციებს, განახლებულ ვებსაიტს, ახალ სპონსორებს და ა.შ.

ჩვენ განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით Sandra Hachmann-ს, Kathrin Schäfer-ს, Sabine Riedel-სა და Pavlo Kochan-ს, GRANSHAN-ის დამფუძნებელ წევრებს, GRANSHAN-ის შრიფტის თავმჯდომარეებს, GRANSHAN-ის შრიფტის სპეციალისტებს და ჩვენს პარტნიორებს, როგორიცაა Alpha Awards/79 Blue Elephants, Google და Glyphs.

შესანიშნავები ხართ!

Veronika Burian

გრანშანის ფონტის დიზაინის კონკურსის თანათავმჯდომარე

Toshi Omagari

გრანშანის შრიფტის დიზაინის კონკურსის თანათავმჯდომარე

Boris Kochan

გრანშანის ფონდის პრეზიდენტი